საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

საინფორმაციო ბიულეტენი

იანვარი – მარტი
2021 წელი

"საქართველოს მედიატორთა ასოციაცია" აქტიურად აგრძელებს მედიაციის განვითარებასა და პოპულარიზაციას ქვეყანაში.

მედიაცია, როგორც სხვადასხვა სახის სამართლებრივი დავების ეფექტიანი გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, საქართველოში უფრო და უფრო მაღალი ინტერესის და მოხმარების სფერო ხდება.

უწყვეტად მიმდინარეობს ევროპულ სტანდარტებზე მისადაგებული პროფესიის დანერგვა და მედიაციის სისტემის ორგანიზება, რომელიც სოციალური მშვიდობის დანერგვის გზაზე მხარეთათვის კონფლიქტის მოგვარების უალტერნატივო მექანიზმი გახდება.

www.mediators.ge

/MediatorsGeorgia

/MAG

/mediators.ge

/MediatorsGeorgia

(032) 2 905 900

ნუცუბიძის ქ. 14 ბ

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

„სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“

წითელი ჯვრის საზოგადოება

გაეროს ბავშვთა ფონდი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრი – ,,საქპატენტი“

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

სოლიდარობის ფონდი

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა გამართა მედიაციის შესახებ (როგორც დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმის საქართველოში), გაცნობითი სამუშაო შეხვედრა, საფრანგეთის სახელმწიფოს ელჩთან საქართველოში ბატონ დიეგო კოლასთან.

"საქართევლოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა გამართა მედიაციის შესახებ (როგორც დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმის საქართველოში), გაცნობითი სამუშაო შეხვედრა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ბატონ ფაიგ გულიევთან.

"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" მხარდაჭერითა და საქართველოს უნივერსიტეტის მასპინძლობით პირველად საქართველოში გაიმართება დავის გადაწყვეტის საერთაშორისო აკადემიის (INADR) მიერ ორგანიზებული საერთაშორისო მედიაციის შეჯიბრი – INADR International Law School Mediation Tournament.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ" კონკურსში გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელისთვის დააწესა სპეციალური ჯილდო "Best Newcomer Mediator".

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL), „საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა“ და „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია თემაზე – მედიაცია კომერციული და საოჯახო დავების ეფექტიანი გადაწყვეტის საშუალება / სინგაპურის კონვენცია. ღონისძიებას მოდერირებას უწევდა “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” თავმჯდომარე – ირაკლი ყანდაშვილი.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „ვასწორებთ საათს მედიაციის სტანდარტით“, რომელშიც უცხოელ კოლეგებს გააცნო მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის განვითარების მდგომარეობა და პანდემიის ფონზე მედიაციის წინაშე არსებული გამოწვევების გამკლავების ქართული გამოცდილება.



“საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო ვებინარი “ადვოკატის როლი მედიაციაში/საერთაშორისო გამოცდილება”.
ვებინარს მოდერირებას უწევდა “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი, ხოლო მომხსენებლად მოწვეული იყო ამერიკის იურისტთა ასოციაციის/კანონის უზენაესობის ინიციატივის პროგრამის ყოფილი დირექტორი საქართველოში(“ABA ROLI” – (2014 – 2016) წწ.) ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი, საერთაშორისო ექსპერტი დევიდ რუბინო.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ გაეროს გლობალურ შეთანხმების საქართველოს ქსელს შეუერთდა.

უკრაინის მედიაციის აკადემიის,„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“, უკრაინის ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის კომიტეტისა და ოდესის იუსტიციის რეფორმის რეგიონალური საბჭოს ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია თემაზე – სასამართლო მედიაცია და მოსამართლის როლი. ღონისძიება გახსნა “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” თავმჯდომარემ – ირაკლი ყანდაშვილმა.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კოლექტიური შრომითი დავების მედიატორებთან.



„საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და იუსტიციის სასწავლო ცენტრს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მედიაციის თემაზე პირველი ერთობლივი ტრენინგი ჩატარდა.



„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორებმა: ხათუნა (ლია) სანიკიძემ, ლელა ხუნდაძემ და ეკატერინე ჯაველიძემ საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთან ნინა ქიტოშვილთან.

მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების სავალდებულო სისტემის კონცეფციაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელისა და USAID/PROLOG-ის მხარდაჭერით გაიმართა ონლაინ ტრენინგი თემაზე – მედიაცია დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმი საქართველოში, სადაც მონაწილეობა ახალციხის, ბათუმის, გორის, ქუთაისის, მარნეულის, ოზურგეთის, რუსთავის, საგარეჯოს, თელავისა და ზუგდიდის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ოფისების წარმომადგენლებმა მიიღეს.



“საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ და აიპ „განათლება თავისუფლებისთვის“ ორგანიზებით გაიმართა ვებინარი თემაზე : მედიაცია – "კეთილგონიერი დიალოგის მიზანი და შედეგი სამართალწარმოებაში".



„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, საქართველოს სტუდენტური პარლამენტის მონაწილეებთან ონლაინ შეხვედრა გამართა.

"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ორგანიზებით გაიმართა ონლაინ დისკუსიები, რომელიც დაკავშირებულია მედიატორთა პროფესიისა და ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებთან

“მედიაცია – მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან არსებულ სასესხო დავებზე”



ეთიკის სტანდარტი და მედიაცია, როგორც ახალი პროფესია

მედიაციის ღირებულება პანდემიის და პოსტ-პანდემიურ პერიოდში

"ეთიკური პრინციპების პროცესუალური მნიშვნელობა მედიაციაში"



"სასამართლო მედიაციის არსი და პროცესი"



საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ოფისი USAID/PROLoG – ის, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)–ის მხარდაჭერით იქნა ტექნიკურად აღჭურვილი.

მედიაციის სესიების ჩასატარებლად და ინდივიდუალური შეხვედრებისთვის ასოციაციაში მოეწყო კომფორტული სივრცეები. მათ შორის, გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახელობის სამედიაციო დარბაზი, სადაც ჩატარდა არაერთი სამედიაციო პროცესი.

ასოციაცია მასპინძლობს სასამართლო და კერძო მედიაციას.





USAID PROLoG-ის მხარდაჭერით, „საქართველოს მედიატორთა ასოციციის“ ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორებისთვის და აპარატის თანამშრომლებისთვის ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე – „სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეგულირების მექანიზმი“.

2021 წლის პირველი მარტიდან „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ დაიწყო პრო ბონო პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია საოჯახო მედიაციის კატეგორიას დაქვემდებარებული დავების მოგვარება მედიაციის გზით.
პროექტი განხორციელდება პრო ბონო პროექტში ჩართული მედიატორების მხარდაჭერით, რომლებიც უზრუნველყოფენ კვალიფიციურ და უფასო სამედიაციო მომსახურებას.



“საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ორგანიზებით და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ერთობლივი ვებინარი თემაზე – “ქალთა უფლებების რეალიზება მედიაციის საშუალებით”.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს 5 დღიან მედიაციის ტრენინგს თემაზე – მედიატორის უნარჩვევები.

26-29 მარტს, „საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა“ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის (TSU NCADR) ორგანიზებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის“ (EWMI/PROLoG) მხარდაჭერით მიმდინარეობს ონლაინ მედიაციის ტრენინგი.



29 მარტს, „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მხარდაჭერითა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს (ELSA Georgia) ორგანიზებით დაიწყო კონკურსი: სამართლის სკოლა და შეჯიბრი მედიაციაში.

www.mediators.ge ; (032) 2 905 900
ნუცუბიძის ქ. 14 ბ
საქართველოს მედიატორთა ასოციაცია